საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ხელოვნებათმცოდნეობა / Theory and History of Art

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in Theory and History of Art

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ზაზა სხირტლაძე

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებს მისცეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბაზისო ცოდნა ხელოვნებისა და არქიტექტურის სხვადასხვა სფეროს, პერიოდისა და მიმართულების შესახებ. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ განათლება ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში, დაეუფლონ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, მოემზადონ სწავლის გაგრძელებისათვის შემდგომ აკადემიურ საფეხურზე ან დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობისათვის.

პროგრამა სტუდენტებს აძლევს სპეციალიზებულ ცოდნას მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიაში წინარექრისტიანული ხანიდან დღემდე; ჩამოუყალიბებს და განუვითარებს მეთოდოლოგიურ უნარ-ჩვევებს პროფესიული პოზიციებით განპირობებული სამუშაოს შესრულებისათვის.

დარგის – ხელოვნებათმცოდნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამა ინტერდისციპლინარულია და მასში გაერთიანებული საგნები ისწავლება ეპოქებისა და რეგიონების თანადროული რეალიების ფართო კონტექსტში, კომპარატიული მეთოდით.

სავალდებულო საგნების გარდა, სტუდენტს ეძლევა არჩევითი დისციპლინების ფართო არჩევანი. სწავლების ამ საფეხურზე გათვალისწინებულია ლექციები, სემინარები, წერითი სამუშაოები, დისკუსია, გასვლითი პრაქტიკა როგორც საკუთრივ ძეგლებზე, ისე მუზეუმებში, ხელოვანთა სახელოსნოებში.

ხელოვნების ისტორია, როგორც საუნივერსიტეტო საგანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი დაარსებიდან არსებობს. ხანგრძლივი ტრადიციის პირობებში ეს დარგი გათვალისწინებულია, როგორც საკუთრივ ხელოვნებათმცოდნეებისათვის, ისე მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისათვის.

სწავლის შედეგები: საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძენენ მაღალი ხარისხის ცოდნას ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიის ყველა ძირითად საკითხში, ექნებათ ანალიზისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი დისციპლინის ინტერპრეტაციული მეთოდოლოგიის საფუძველზე; ვიზუალური მასალის ღრმა ცოდნასთან ერთად დაეუფლებიან მრავალმხრივი ანალიზის, ისტორიული და შესაბამისი ინტელექტუალური კონტექსტის გააზრების მეთოდოლოგიებს, შეეძლებათ სპეციფიკური საგნებისა და საკითხების განხილვა ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიის სფეროში, ინტელექტუალურ, მხატვრულ, ისტორიულ კონტექსტში.

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი დაეუფლება არამარტო ზოგად ცოდნას საბაკალავრო პროგრამის შესაბამის საგნებში, არამედ გამოიმუშავებს პრობლემების გადაწყვეტის, ლოგიკური აზროვნების, ვიზუალური მასალის ანალიზის, აგრეთვე საკუთარი მოსაზრების საჯარო პრეზენტაციას და არგუმენტირებული დასაბუთების უნარს; შეძლებს

ახალი მეთოდების ათვისებას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას.

პროგრამა უზრუნველყოფს უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ისეთ ხარისხს, რომელიც სტუდენტს შესაბამისი პოზიციის დაკავების ან შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს.

დასაქმების სფეროები:
ა. ორგანიზაციები, სადაც კურსდამთავრებულს შეუძლია მუშაობა:

- მუზეუმები და სამხატვრო გალერეები
- საგამომცემლო ორგანიზაციები
- მედია
- ტურისტული სააგენტოები
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი
- სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები – კულტურის სფერო.
- არასამთავრობო ორგანიზაციები

ბ. პროფესიული პოზიციები, რომლებიც კურსდამთავრებულმა შეიძლება დაიკავოს:

- ექსკურსიამძღოლი მუზეუმში
- სამუზეუმო ფონდის თანამშრომელი
- ხელოვნების სფეროს მიმომხილველი მედიაში
- ექსკურსიამძღოლი ტურიზმის სფეროში
- სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების (კულტურის სფერო) თანამშრომელი

სწავლის გაგრძელების საშუალება: საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება განაგრძოს სწავლა უფრო მაღალი კვალიფიკაციის მისაღებად მაგისტრატურაში, ხოლო შემდგომ – დოქტორანტურაში, როგორც ხელოვნებათმცოდნეობაში, ისე ჰუმანიტარული სფეროს სხვადასხვა დარგში.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სასურველია, სტუდენტმა პროგრამა აირჩიოს არა უგვიანეს III სემესტრისა.

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3) საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი; 4) თავისუფალი საგნები – 10 კრედიტი.

შეფასების ზოგადი წესი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: აუდიტორია (ფართი 40 კვ.მ)
ბიბლიოთეკა (5000 ერთეული წიგნი) აქედან: ვ. ჯობაძის პირადი ბიბლიოთეკის ნაწილი (53 წიგნი) ნ. რომანოვის პირადი ბიბლიოთეკა (3000 ერთეული წიგნი). ტექნიკური აღჭურვილობა: ორი კომპიუტერი, რომელთაგან ერთი ჩართულია ინტერნეტ ქსელში, ტელევიზორი კომპიუტერული პროექტორი ,სამი სლაიდოსკოპი, დიგიტალური კამერა;
ბიბლიოთეკაში დაცულია ვ. ჯობაძის მიერ შემონაწირი ფერადი სლაიდები.

დამატებითი (minor) პროგრამა

დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ხელოვნებათმცოდნეობა

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორები: პროფესორი ზაზა სხირტლაძე

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, დამატებითი კომპეტენციები მიანიჭოს ბაკალავრს ხელოვნებათმცოდნეობის დარგში, კურსდამთავრებულებს მისცეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის საბაზისო ცოდნა ხელოვნებისა და არქიტექტურის სხვადასხვა სფეროს, პერიოდისა და მიმართულების შესახებ.

სწავლის შედეგები: დამატებითი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძენენ მაღალი ხარისხის ცოდნას ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიის ყველა ძირითად საკითხში, ექნებათ ანალიზისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი დისციპლინის ინტერპრეტაციული მეთოდოლოგიის საფუძველზე;

დასაქმების სფეროები: დასაქმების სფეროებს განსაზღვრავს ძირითადი სპეციალობა. დამატებითი სპეციალობა ხელოვნებათმცოდნეობის დასრულების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა საშუალება დასაქმდეს:

- მუზეუმები და სამხატვრო გალერეები
- საგამომცემლო ორგანიზაციები
- მედია
- ტურისტული სააგენტოები
- სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები – კულტურის სფერო.
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- ექსკურსიამძღოლი მუზეუმში
- სამუზეუმო ფონდის თანამშრომელი
- ხელოვნების სფეროს მიმომხილველი მედიაში
- ექსკურსიამძღოლი ტურიზმის სფეროში
- სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების (კულტურის სფერო) თანამშრომელი

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D

51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობა: წინაპირობა არ არის

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა 60 კრედიტიანია. 40 კრედიტი დაეთმობა სავალდებულო საგნების შესწავლას, 20 კრედიტი არჩევით საგნებს.

დამატებითი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: მეხუთე სემესტრი